კულტურული მრავალფეროვნების დღე სკოლაში

მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების
კავკასიური ინსტიტუტი

კულტურული მრავალფეროვნების დღე სკოლაში

CIPDD
თბილისი
2010

მასწავლებლის გზამკვლევი მომზადდა მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის პროექტის ფარგლებში. ღონისძიების მეთოდოლოგია მომზადდა კონკურსის საფუძველზე შერჩეული ორი პროექტის საფუძველზე: ხაშურის რაიონის სოფ. იტრიის საჯარო სკოლა (იდეის ავტორი: ცისანა კურტანიძე) და ქ. ბოლნისის კერძო სკოლა „დავიათიანი“ (იდეის ავტორი: მარინა გორშკოვა).

ყდის დიზაინი: *ანა მწითურიძე*

გამოცემა მომზადდა EED-ის (გერმანია) მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში

მისამართი: აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო
სააბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54
ელ-ფოსტა: info@cipdd.org;
www.cipdd.org

მრავალფეროვანი კულტურის დღეები სკოლაში

საქართველოს ეთნიკური რუკის ფორმირება ათასწლეულების მანძილზე ხდებოდა. ის სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვანაირად გამოიყურებოდა. განსაკუთრებული ცვლილებები XIX საუკუნეში და XX საუკუნის დასაწყისში განიცადა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში მეფის რუსეთი არაქართველი მოსახლეობის თითქმის მთლიანად ორგანიზებულ, ჯგუფურ ჩასახლებას აწარმოებდა საზღვარგარეთის ქვეყნებისა და რუსეთის იმპერიის შიდა პროვინციებიდან. ასე ჩამოასახლეს სომხები, რუსები, ბერძნები და გერმანელები. სამაგიეროდ, აიძულებდნენ სამცხე-ჯავახეთში მცხოვრებ მუსლიმ ქართველებს, ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულიყვნენ.

დღეს საქართველოში სამი ყველაზე დიდი ეთნიკური ჯგუფია წარმოდგენილი: ქართველები (მოსახლეობის 83.8%), აზერბაიჯანელები (6.5%) და სომხები (5.7%). დანარჩენ 4%-ს უფრო მცირერიცხოვანი ჯგუფები, მათ შორის, აფხაზები, ოსები, რუსები, უკრაინელები, ქურთები/იეზიდები, ბერძნები და სხვები შეადგენენ. აზერბაიჯანელები უმრავლესობა არიან ქვემო ქართლის სამ რაიონში. მარნეულის რაიონში მოსახლეობის 83% აზერბაიჯანელია, დმანისში – 67%, ბოლნისში – 66%, გარდაბანში – 44%. კახეთში საგარეჯოს რაიონში მოსახლეობის 32% აზერბაიჯანელია, ლაგოდეხის რაიონში – 22%. სომხები უმრავლესობას შეადგენენ სამცხე-ჯავახეთის ორ რაიონში: ახალქალაქისა (94%) და ნინოწმინდის რაიონებში (96%), ქვემო ქართლში წალკის რაიონში (55%). ასევე მათი დიდი განსახლებაა ახალციხის რაიონში – 36%. თბილისში კი სომხები ქართველების შემდეგ ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფია (8%). 2002 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, რუსების რაოდენობამ 68 ათასი შეადგინა, უკრაინელებისამ – 7039. ამჟამად ქვეყნის მასშტაბით 15 ათასამდე (0.3%) – ბერძენი, 3.299 (0,1%) ასირიელი და 20.8 (0.4%) ქურთი ცხოვრობს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში სერიოზული ცვლილებები მოხდა. თუ 1989 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, ეთნიკური უმცირესობები ქვეყნის მოსახლეობის 30%-ს შეადგენდნენ, 2002 წლის აღწერის შედე-

გებით, საქართველოში (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების გამოკლებით) მათი ხვედრითი წონა 16%-ამდე დაეცა.

ეთნიკური უმცირესობების რაოდენობის შემცირების უმთავრესი მიზეზი ემიგრაციაა. ემიგრაციის პირველ ტალღას ბიძგი მისცა 1990-იან წლებში საბჭოთა კავშირის ყოფილ რესპუბლიკებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პოლიტიკური ვითარების მკვეთრმა გაუარესებამ. ემიგრაცია მოსახლეობის გადარჩენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგია გახდა; მან მასობრივი ხასიათი მიიღო როგორც ქართველებში, ისე ეთნიკურ უმცირესობათა შორის. განსაკუთრებით ინტენსიური იყო სლავების ემიგრაცია. ემიგრანტებს შორის სლავები 60%-ს აჭარბებდნენ.

ის, რაც ეთნიკური უმცირესობების ემიგრაციას შეაკავებს, არის მათი ინტეგრაციის მაღალი ხარისხი ქართულ საზოგადოებაში.

საქართველო აღიარებს უმცირესობების ინტეგრაციის საჭიროებას. მას ხელმოწერილი აქვს ევროპის საბჭოს ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო- კონვენცია და აღიარებული აქვს უმცირესობათა უფლებებთან დაკავშირებული საერთაშორისო ინსტრუმენტების და რეკომენდაციების უმეტესობა.

2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ აქტიურად დაიწყო ეთნიკური უმცირესობების თემის წამოწევა. ხელისუფლების წარმომადგენლები ხშირად საუბრობენ ქართულ საზოგადოებაში ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის საჭიროებაზე და ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ეს არ ნიშნავს ასიმილაციას და საკუთარი იდენტობის დავიწყებას. ახალი ხელისუფლება სამოქალაქო ნაციონალიზმს ანიჭებს უპირატესობას ეთნიკურ სიამაყესთან შედარებით, რაც ტრადიციულად აქამდე დომინირებდა.

„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ინსტიტუციურ დონეზე შეიქმნა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. ამით კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოში უმცირესობების მდგომარეობის გაუმჯობესებას და საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას. სახელმწიფო მინისტრის კაბინეტის გარდა, მინისტრების დონეზე შეიქმნა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის საბჭო. მის შემადგენლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც შევიდნენ. ამ ორგანოს სამოქალაქო ინტეგრაციის სტრატეგიის/კონცეფციის და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავება დაევალა. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების საკითხებზე

მუშაობენ სახალხო დამცველის აპარატი და მასთან არსებული ეროვნული უმცირესობების საბჭო. გარდა ამისა, პრეზიდენტს ჰყავს სპეციალური მრჩეველი სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში.

ამ სპეციალიზირებული ორგანოების გარდა, ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მხარდაჭერაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია.

უმცირესობების გაუცხოება და იზოლაცია არაერთი მიზეზით არის გამოწვეული: იქნება ეს ისტორიული, სოციალური, ეკონომიკური, ინფორმაციული თუ ენობრივი.

ამ მიზეზების დასაძლევად სამთავრობო თუ არასამთავრობო დონეზე ბევრი კეთდება, მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. აუცილებელია მოიხსნას გაუცხოება და ურთიერთუნდობლობა საქართველოში მცხოვრებ ყველა ეთნოსს შორის. ამ მიმართულებით მუშაობა სკოლის ასაკში უნდა დაიწყოს. სკოლაში უნდა ჩაეყაროს საფუძველი მულტიკულტურულ აღზრდას და რელიგიურ შემწყნარებლობას. დღევანდელ სასკოლო სახელმძღვანელოებში შეტანილია მასალები ეთნიკურ უმცირესობათა შესახებ და მოსწავლეები ერთმანეთის ისტორიასა და კულტურაზე გარკვეულ ინფორმაციას იღებენ. მაგრამ ეს არაა საკმარისი. საჭიროა სხვა აქტივობებიც. ერთ-ერთ ასეთ აქტივობად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის დღეების ჩატარებაა. ამგვარი პროექტის განხორციელებას ერთჯერადი სახე არ უნდა ჰქონდეს. ის ტრადიციად უნდა იქცეს სკოლებში. მრავალფეროვანი კულტურის დღეები ხელს შეუწყობს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობებთან, მათ კულტურასა და ტრადიციებთან დაახლოებასა და პატივისცემას. ეს ინიციატივა გულისხმობს, რომ ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების იზოლირებულობა შემცირდება და ადრეულ ასაკში ჯგუფებს შორის სოციალიზაცია მოიმატებს. ასეთ ურთიერთობებს სარგებლობა მოაქვს ენის თვალსაზრისითაც: ჩნდება მოტივაცია საერთო საკომუნიკაციო ენის შესწავლისა.

წინამდებარე მეგზურში მონიშნულია ის აქტივობები, რომელთა მეშვეობით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ხელმძღვანელობას შეუძლია წარმატებით აღნიშნოს „მრავალფეროვანი კულტურის დღე“ სკოლაში. ეს ღონისძიება შეიძლება შაბათ-კვირას ჩატარდეს. შეიძლება რომელიმე სკოლამ კვირეულის მოწყობა არჩიოს. ღონისძიების ხანგძლივობა ორ-

განიზატორებმა თავად უნდა დაადგინონ. ასევე, სკოლა წყვეტს, რომელი ეთნიკური უცირესობ(ებ)ის კულტურას მიეძღვნას ღონისძიება.

როგორ მოვემზადოთ ღონისძიებისათვის

პროექტის განხორციელებისათვის მზადება სკოლამ, სავარაუდოდ, ერთი თვით ადრე უნდა დაიწყოს. ორგანიზატორმა, რომელიც შემდგომში პასუხიმგებელი იქნება პროექტის შესრულებაზე, უნდა მოიწვიოს მასწავლებლები, სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა, სამეურვეო საბჭო და გააცნოს პროექტის მიზანი, მისი განხორციელების გზები. შეკრებაზე უნდა შეიქმნას მიზნობრივი ჯგუფები საგნის მასწავლებლების, მოსწავლეებისა და მშობლების შემადგენლობით. მათ ერთად უნდა დაადგინონ ღონისძიების ჩატარების თარიღი, შეიმუშაონ გეგმა, გადაანაწილონ ჯგუფები, გაეცნონ საჭირო დავალებებს, განსაზღვრონ ღონისძიების ხანგძლივობა და საჭირო მასალა. აქვე შეიქმნება ჟიური, რომლის შემადგენლობაში შევლენ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები. ისინი შეაჯამებენ კონკურსების შედეგებს.

ორგანიზატორი პედაგოგებს, მოსწავლეებს, მათი სურვილის მიხედვით, ინფორმაციის მოსაძიებლად აძლევს, სავარაუდოდ, ერთ თვეს, რათა მათ დამოუკიდებლად შეძლონ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის კულტურის, ტრადიციების, ისტორიის, წესჩვეულების გაცნობა.

ორგანიზატორი პედაგოგებს, მოსწავლეებს წინასწარ აცნობს ღონისძიების მთავარ თემატიკას. მოსამზადებელ პერიოდში სკოლა აწყობს ნახატების გამოფენას.

საორგანიზაციო ჯგუფები დაახლოებით ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

I ჯგუფი (ხელმძღვანელი – ისტორიის/ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი). ამ ჯგუფის წევრებს დაევალებათ შეადგინონ კითხვარები, მოამზადონ მოსწავლეები კონფერენციისათვის, მიუთითონ მათ შესაბამისი ლიტერატურა, ინტერნეტ-საიტები და სხვა გამოცემები; დაწერონ რეფერატები საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ისტორიის, კულტურის, ტრადიციების შესახებ, მოამზადონ ვიდეომასალა, ფოტომასალა და სლაიდები თვალსაჩინოებისათვის. ჯგუფის მიერ მომზა-

დებული კითხვარი სათაურით: „იცით თუ არა" წინასწარ დაურიგდებათ მოსწავლეებს; ეს ჯგუფს დაეხმარება დაადგინოს მოსწავლეთა ცოდნის რეიტინგი ეროვნული უმცირესობების ისტორიის, ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, ჩაცმულობის, სამზარეულოსა და სხვათა შესახებ და კონფერენციაც სწორედ ამის გათვალისწინებით მომზადდება.

II ჯგუფი (ხელმძღვანელი – ხელოვნების მასწავლებელი, წევრები: ისტორიის, რელიგიის მასწავლებლები, მოსწავლეთა ოთხ-ხუთკაციანი ჯგუფები). ამ ჯგუფის წევრები გააფორმებენ ეროვნულ უმცირესობათა კუთხეებს, შეიძენენ საჭირო მასალებს ეროვნული უმცირესობების ტანსაცმლის კონკურსისათვის.

III ჯგუფი (ხელმძღვანელი – მუსიკის მასაწავლებელი, წევრები – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, შემოქმედებითი უნარების მქონე მოსწავლეები და მათი მშობლები) მოამზადებს კონცერტს, მოიწვევს ეთნიკურ უმცირესობათა პოეტებს, მათ ქართველ მთარგმნელებს, მომღერლებს. საკონცერტოდ მოსწავლეებს შეასწავლიან სომხურ, აზერბაიჯანულ, ებრაულ, უკრაინულ და სხვა ენებზე (ან ამ ენებიდან ნათარგმნ) ლექსებს და სიმღერებს.

IV ჯგუფი (ხელმძღვანელი – შრომის მასწავლებელი) დაიყოფა მოსწავლეთა სამ-ოთხკაციან ქვეჯგუფებად მზარეულების დასახმარებლად და ათკაციან ქვეჯგუფად „მეგობრობის ხეივნის" გასაშენებლად. ჯგუფები წინასწარ მოიძიებენ ეროვნულ უმცირესობათა სადღესასწაულო და ეროვნული კერძების რეცეპტებს, რომლის მიხედვითაც დაამზადებენ მზარეულთან ერთად კერძებს. აგრეთვე, შეიძენენ ნერგებს დასარგავად.

V ჯგუფში შევლენ ისტორიის, გეოგრაფიის, მუსიკისა და ლიტერატურის მასწავლებლები, რომლებიც მოამზადებენ კითხვებს ვიქტორინისათვის. კითხვები შეეხება ეთნიკურ უმცირესობათა კულტურების ღირსსაცნობ მომენტებს, მათი წარმომავლობის გამოჩენილ ადამიანებს ხელოვნებისა და მეცნიერების დარგებში. ვიქტორინაში მონაწილეთა რაოდენობას განსაზღვრავს ჯგუფის ხელმძღვანელი.

VI ჯგუფი იქნება სკოლის მოსწავლეთა რედკოლეგია, რომელიც გამოსცემს ხელნაწერ გაზეთს; გაზეთი მიეძღვნება მრავალფეროვანი კულტურის დღეებს სკოლაში.

ღონისძიების ორგანიზატორი წერს განცხადებას კვირეულის თარიღის, გეგმის შესახებ და აკრავს ყველა სართულზე, რათა ინფორმაცია კვირეულის შესახებ ხელმისაწვდომი იყოს ყველასათვის.

ღონისძიების მსვლელობა

მონაწილე ჯგუფებს სტუმრების მოსვლამდე ეძლევათ დავალება, გაფორმონ მაგიდები ტრადიციული ელემენტებით.

იწვევენ სტუმრებს (სხვადასხვა ეროვნების მოსწავლეებს, მასწავლებლებს, რომელთაც წინასწარ დაეგზავნათ მოსაწვევები) დარბაზში, სადაც უკვე სხედან მონაწილე ჯგუფები.

ერთ-ერთი ორგანიზატორი აცნობებს დამსწრე საზოგადოებას ღონისძიების ჩატარების მიზანს და მსვლელობას (სასურველია, იგივე გეგმა აისახოს მოსაწვევში).

სტუმრებისაგან ირჩევენ ჟიურის.

ღონისძიება, ძირითადად, აგებული იქნება კონკურსებზე, დავალებებზე, შედეგი კი დამოკიდებულია მოსწავლეების მიერ მოძიებულ ინფორმაციაზე საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის კულტურის, ტრადიციების ისტორიის, წეს-ჩვეულების მრავალფეროვნებაზე. ჟიური აფასებს ჯგუფებს ფერადი ბარათების აწევით:

წითელი ბარათი – დავალება სრული და არგუმენტირებულია;

ყვითელი ბარათი – დავალება სრულია, მაგრამ არგუმენტები აკლია;

მწვანე ბარათი – დავალება არ არის სრული; არგუმენტები არ არის დამაჯერებელი.

ღონისძიების ბოლოს ჟიური ითვლის ბარათებს: მეტი წითელი ბარათი – I ადგილი, მეტი ყვითელი ბარათი – II ადგილი, მეტი მწვანე ბარათი – III ადგილი.

სტუმრები დაათვალიერებენ სკოლაში მოწყობილ ნახატების გამოფენას (ნახატების ავტორები მოსწავლეები არიან), რომელიც ეძღვნება საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების თანამეგობრობას.

შენიშვნა: ეს სცენარი ძალიან მარტივად შეიძლება მოერგოს სკოლებს შორის ერთობლივი ღონისძიების ფორმატს, საკმარისია მონაწილეები შევცვალოთ და ჯგუფები დავაკომპლექტოთ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებისაგან (მაგალითად, აზერბაიჯანულ სკოლას მივცეთ დავალება, მოამზადოს ღონისძიება ბერძნების ტრადიციების შესახებ). შესაძლებელია სამი-ხუთი სკოლის ერთობლივი კვირეულის მოწყობა.

ღონისძიებათა I დღე

1. **კონკურსი ეროვნულ უმცირესობათა კუთხეები**. აღნიშნული დღისათვის მოეწყობა საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობებისადმი მიძღვნილი კუთხეები. თითოეული კუთხე გაფორმდება მოსწავლეთა და მასწავლებელთა ძალებით; გამოიფინება მათივე ხელით დამზადებული ეროვნული სიმბოლოები, დროშები, ტანსაცმელი, აპლიკაციებით დამზადებული გეოგრაფიული რუკა, ეროვნული დასაკრავი ინსტრუმენტები. რამდენად მრავალფეროვანი იქნება კუთხე, იმდენად მეტი გამარჯვების შანსი ექნება გუნდს. ჯგუფებს სამუშაო მასალად დასჭირდებათ ფერადი ქაღალდები, ფორმატის ქაღალდები, ფლომასტერები, ცელოფანი, წებო და სხვა იაფფასიანი რესურსები. კუთხეებს შეაფასებენ დამთვალიერებლები. ისინი წინასწარ დადგმულ ურნაში ხმას მისცემენ რჩეულ კუთხეს. ჟიური დაითვლის ხმებს და დღის ბოლოს დაასახელებს გამარჯვებულს.
2. **კონკურსი – ეროვნულ უმცირესობათა ჩაცმულობა**. ეროვნული ტანსაცმლის პრეზენტაციისათვის ტანსაცმელი, ძირითადად, დამზადდება ფერადი იაფფასიანი ქსოვილებით, ბზინებით, მძივებით, თასმებით, ფერადი ქაღალდებით და სხვა იაფფასიანი მასალით. კონკურსი წარიმართება ეროვნული მუსიკის ფონზე. ამ კონკურსსაც შეაფასებს წინასწარ შერჩეული ჟიური და გამარჯვებული დასახელდება დღის ბოლოს.
3. **კონკურსი – „რამდენად კარგად ვიცნობთ ერთმანეთს“**. ჯგუფებს ეძლევათ დავლება, წარმოადგინონ ინსცენირებით (უარეს შემთხვევაში, დახატონ), როგორ ესახებათ საქრთველოში მცხოვრები ამა თუ იმ ეთნიკური უმცირესობის რიტუალები ადამიანის ცხოვრების ისეთ ნიშანსვეტურ მოვლენებთან დაკავშირებით, როგორებიცაა: დაბადება, ნათლობა, ახალი წელი, ქორწილი, გარდაცვალება. შეიძლება მიეცეთ დავალება, იპოვონ საერთო, მსგავსი ტრადიციები (მოიგებს ის, ვინც მეტ მსგავსებას იპოვის და ჩაწერს ქაღალდზე)

შემდეგი კონკურსები შეიძლება ჩატარდეს ეთნიკური უმცირესობის ტრადიციული ცეკვის, სიმღერის შესრულებაზე.

ამავე დღეს შეიძლება მოეწყოს **ვიქტორინა „საქართველო ყველასათვის ერთია“**

ვიქტორინის სავარაუდო კითხვებია:
ჩამოთვალეთ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობები

- რა ეწოდება აზერბაიჯანში საახალწლო დღესასწაულს? (ნოვრუზბაირამი)
- რა ეწოდება სომხეთში საახალწლო დღესასწაულს? (ამანორ)
- საქართველოში მეკვლისთვის რა მზადდება? (ხონჩა)
- საქართველოს რომელ კუთხეში ცხოვრობს ყველაზე მეტი სომეხი? (სამცხე-ჯავახეთი)
- 6. საქართველოს რომელ რაიონში ცხოვრობს ყველაზე მეტი ბერძენი? (სამცხე-ჯავახეთი)
- 7. საქართველოს რომელ მხარეს მდებარეობს სამაჩაბლო? (შიდა ქართლი)
- 8. როგორ იქნება „თოვლის ბაბუა“ ებრაულად, ოსურად?

II დღე

1. **10 საათზე გაიხსნება კონფერენცია**. მომხსენებლები ისაუბრებენ საქართველოში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების წარსულზე, საქართველოში მათი ჩამოსახლების ისტორიებზე, მათი ტრადიციების, გამოჩენილი ადამიანებისა და სხვათა შესახებ. გამოყენებულ იქნება წინასწარ მოძიებული აუდიო-, ვიდეო- და ფოტომასალა, სლაიდები, რაც გაამრავალფეროვნებს კონფერენციას.
2. **კონცერტი**. კონცერტისათვის მესამე სამუშაო ჯგუფი მოიწვევს ცნობილ ადამიანებს (მომღელებს, პოეტებს); კონცერტში მონაწილეობას მიიღებს სკოლის ქორეოგრაფიული ანსამბლი (თუ კი ასეთი ჰყავს), რომელსაც წინაწარ ექნება მომზადებული რამდენიმე ეთნიკური უმცირესობის ცეკვები. შეასრულებენ ეთნიკურ უმცირესობათა სიმღერებს, წაიკითხავენ ლექსებს.
3. **ეროვნულ უმცირესობათა სამზარეულო**. ამავე დღეს მოწვეული იქნება მზარეული და წინასწარ მოძიებული ეროვნული რეცეპტების მიხედვით მოსწავლეთა ჯგუფებთან ერთად მომზადდება კერძები სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის სამზარეულოდან. შემდეგ მოხდება მათი პრეზენტაცია. მოსწავლე, რომელიც ამ კერძებს წარადგენს, ისაუბრებს ამ კერძების სადღესასწაულო თუ რიტუალურ დანიშნულებაზე და გაუმასპინძლდება მსურველებს.

4. **„მეგობრობის ხეივნის“ გაშენება**. მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფი სკოლის ეზოში წინასწარ შეჩეულ ადგილზე დარგავს ხეებს, ეთნიკურ უმცირესობათა მეგობრობის, ძმობისა და პატივისცემის ნიშნად. თუ სკოლას ასეთი ადგილი არ აქვს, მაშინ მუნიციპალიტეტის მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილზე დაირგვება ხეები და დაერქმევა „მეგობრობის ხეივანი“.

ერთ ნერგს რგავს ორი მოსწავლე მაგალითად: რუსი და აზერბაიჯანელი, ქართველი და ბერძენი და ა.შ. მოსწავლეები ნერგს აბამენ ლენტს ინიციალებით და გამონათქვამებით (ვთქვათ, „ძმაო ძმით ხარ ძლიერი“) მეგობრობაზე ან სურვილებით.

მრავალფეროვანი კულტურის დღეებს სკოლაში მიეძღვნება გაზეთი, რომელსაც გამოსცემს სკოლის სარედაქციო კოლეგია.

შეიძლება ამ ღონისძიების ეფექტურობაც გავზომოთ. ჯგუფები აკეთებენ დასკვნას, იყო თუ არა ასეთი ღონისძიება მათთვის სასარგებლო სხვა ეროვნების თანატოლებთან დაახლოების და გაცნობის თვალსაზრისით, გამოთქვამენ შთაბეჭდილებებს, სასურველია, ნახატების სახით; წინასწარ მომზადებულ თეთრ ტილოზე, რომელსაც აწერია „რა გავიგე დღეს?'' – წერენ პასუხებს (შეიძლება ეს ტილო გადაეცეს სხვა სკოლას, რათა იქაც ჩატარდეს მსგავსი ღონისძიება, ანუ ჩამოყალიბდეს ასპარეზის გადაცემის ტრადიცია).

ორგანიზატორი ფორმატს ამაგრებს კედელზე, მაგიდაზე დებს სამი ფერის წებოვან ფურცელს (წითელი – ეს იყო შესანიშნავი; ყვითელი – ჩემთვის ახალი არაფერია; მწვანე – ღონისძიება არ მომეწონა) ყველა მონაწილე ამაგრებს წებოვანს. ფერთა სიმრავლის მიხედვით გაიზომება ღონისძიების ეფექტურობა.

მრავალფეროვანი კულტურის დღეები შეიძლება სასწავლო დღეებშიც ჩატარდეს ორშაბათიდან პარასკევამდე ასეთი სქემით:

ორშაბათი – <u>ქართველების, რუსების წარდგენა</u>

1. ისტორიული ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობის შესახებ
2. ტრადიციული, ეროვნული ცეკვის წარდგენა
3. ტრადიციული, ეროვნული სიმღერის წარდგენა

4. ტრადიციული, ეროვნული სამზარეულო
5. ეროვნული კუთხის მოწყობა
6. საინფორმაციო გაზეთის პრეზენტაცია

სამშაბათი – <u>აზერბაიჯანელების, გერმანელების წარდგენა</u>
1. ისტორიული ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობის შესახებ
2. ტრადიციული, ეროვნული ცეკვის წარდგენა
3. ტრადიციული, ეროვნული სიმღერის წარდგენა
4. ტრადიციული, ეროვნული სამზარეულო
5. ეროვნული კუთხის მოწყობა
6. საინფორმაციო გაზეთის პრეზენტაცია

ოთხშაბათი – <u>სომხების, ოსების წარდგენა</u>
1. ისტორიული ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობის შესახებ
2. ტრადიციული, ეროვნული ცეკვის წარდგენა
3. ტრადიციული, ეროვნული სიმღერის წარდგენა
4. ტრადიციული, ეროვნული სამზარეულო
5. ეროვნული კუთხის მოწყობა
6. საინფორმაციო გაზეთის პრეზენტაცია

ხუთშაბათი – <u>ბერძნების, ებრაელები წარდგენა</u>
1. ისტორიული ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობის შესახებ
2. ტრადიციული, ეროვნული ცეკვის წარდგენა
3. ტრადიციული, ეროვნული სიმღერის წარდგენა
4. ტრადიციული, ეროვნული სამზარეულო
5. ეროვნული კუთხის მოწყობა
6. საინფორმაციო გაზეთის პრეზენტაცია

პარასკევი – <u>შემაჯამებელი ვიქტორინა</u>